ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №01-07/12

დაბა ქედა, 25 აგვისტო, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 18:20 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 18:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (იმყოფება შვებულებაში);
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე (იმყოფება შვებულებაში);
მამუკა გოგოლიშვილი - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/12 ბიუროს სხდომა

25 აგვისტო, 2022 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	—
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	—
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	—
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს №01-07/12 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
2. ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე;
3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში;
4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აგვისტოს №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს №01-07/12 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95222372-95, 25.08.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

სხდომაზე საკითხთან დაკავშირებით გაჟღერდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე აზრი, თუმცა ბიუროს წევრები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ წერილში ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღებაა (გამოცემაა) მოთხოვნილი და საკითხი ადმისნიტრაციული წარმოების გარეშე გატანილიყო სხდომაზე, რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ დროულად განახორციელოს აუქციონის გამოცხადება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის (სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე 652 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 21.01.37.859)) იჯარით გაცემა ხდება პირობიანი აუქციონის წესით. შესაბამისად, დაინტერესებულ პირს პერსპექტივაში დაგეგმილი აქვს პანორამული ლიფტის მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა, რომლის მშენებლობის შემთხვევაში უნდა განახორციელოს 200 000 (ორასიათასი) ლარის ინვესტიცია და დასაქმოს მუდმივად 10 ადამიანი, მათშორის 8 ადგილობრივი (მუნიციპალიტეტის) მცხოვრები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე.

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი (წერილის ნომერი: №12-95222282-95, 16.08.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აღნიშნა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტი 2022 წლის 24 ივნისის №გ-95.95221752 განკარგულებით დამტკიცებულია პირველადი მონაცემების საფუძველზე, ამიტომ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი შეცვლილი მონაცემებით, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილში, შესაბამისად მიზანშეწონილია დამტკიცდეს ახალი დოკუმენტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე.

3. **მოისმინეს:** ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95222204-95, 08.08.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე.

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აგვისტოს №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აგვისტოს №01-06/13 მორიგი სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნონა ბერიძე